



Catalog

01 დასკვნა.....	1
02 ზელმოწერა laqi geimi auditi.....	10
03 ფინანსური ანგარისგება.....	11
04 მმართველობის ანგარისგება.....	24





შპს „ლაქი გეიმი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი 2020 წელი



2021 წელი

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
მმართველობის ანგარიშგება	8
2020 წლის ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის	9
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად უნდა ასახავდეს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგებას მცირე და საშუალო საწარმოთა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, საადრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებულ და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:



- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე, თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით

დირექტორი

ლევან ლავგილავა

ფინანსისტი

ნუგზარ ჯაჯანიძე



შპს „აუდიტი - A“

„AUDITI - A“ LLC

საქართველო, ქ. თბილისი ზღვისუბნის
დასახლება, კვარტალი IX, კორპუსი N15, ბინა N24
მობ.: 577429137; 591191705
ელ-ფოსტა: alania49@mail.ru ;
ს/კ400290662

Georgia, Tbilisi, Nadzaladevi
Tsgvisubani settlement, quarter IX
building N15, apartment N24
mob.: 577429137; 591191705
E-mail: alania49@mail.ru

For and on behalf of „Audit A“ LLC (Reg.№ SARAS-F-911029) Jemal Alania (Reg.№SARAS-A-336078)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლაქი გეიმის“ მფლობელებს და მმართველობას:

ჩვენი მოსაზრება

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ლაქი გეიმის“ (შემდგომში კომპანია) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგების, ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან. ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აზრად ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებისა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობიდან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას და გონივრული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ლაქი გეიმი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული

აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

პირობითი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს წარმოადგენს კომპანიის მიდგომა ფინანსური აქტივების (დებიტორული დავალიანება) გაუფასურებასთან დაკავშირებით. კომპანიის მიერ არ ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავაჭრო მოთხოვნების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრავთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ამ მუხლში, აგრეთვე მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. არსებული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება დებიტორული დავალიანების გაუფასურებასთან დაკავშირებით მოდიფიცირებულია.

ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი სახის აუდირება

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- დასრულებული წლის ბოლოსათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
- კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება დასრულებული წლის ბოლოსათვის
- ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება დასრულებული წლის ბოლოსათვის ;და
- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები, რომელიც მოიცავს ძირითადი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეჯამებას.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ კომპანიისაგან დამოუკიდებლები, “ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს” მიერ დადგენილი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“-ს შესაბამისად (IESBA კოდექსი). ჩვენ ავიღეთ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო“-ს მიერ დადგენილი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“-ს შესაბამისად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპების გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენი აუდიტის დასკვნას მასზე) ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებასთან დაკავშირებით, ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის მმართველობის ანგარიშგების წაკითხვა და ამით განსაზღვრა, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან, არის თუ არა არსებითი უზუსტობები მასში. ამასთანავე, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენი მოსაზრების გამოთქმა იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების ცალკეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში ისეთ ინფორმაციას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს მატერიალური, არსებითი უზუსტობა, ჩვენი მხრიდან ვაფიქსირებთ, რომ საქართველოს მთავრობა აპირებს სათამაშო ბიზნესის კანონმდებლობის გამკაცრებას, მოთამაშეების ასაკის შეზღუდვას, სოციალურად დაუცველებს არ ექნებათ თამაშის უფლება, რეკლამის საერთოდ აკრძალვა და სხვა შემზღუდავი რეგულაციები, რომელიც გასათვალისწინებელია კომპანიის მენეჯმენტისათვის, ასევე მენეჯმენტმა უნდა მოახდინოს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, რომ ახალმა გამკაცრებულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვნად არ დააზიანოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

შპს „აუდიტი - A" -ს სახელით

(რეგისტრაციის № SARAS-F-911029)

ჯემალ ალანია

(რეგისტრაციის № SARAS-A-336078)

09 დეკემბერი 2021 წელი

თბილისი, საქართველო



შპს „ლაქი გემის“ ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2020 31/12/2019 31/12/2018

აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	234985	720530	530716
სხვა საგადასახადო აქტივი	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2879429	1420000	1062285
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	725970	720300	926071
სულ აქტივები	3840384	2860830	2519072

ვალდებულებები

წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გადასახდელი დივიდენდები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1516231	37933	245933
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	0	0	0
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სუბორდინირებული სესხი	0	0	0
სულ ვალდებულებები	1516231	37933	245933

საკუთარი კაპიტალი

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2324153	2822897	2273139
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2324153	2822897	2273139
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3840384	2860830	2519072

დირექტორი:

ფინანსისტი:



შპს „ლაქი გეიმის“ საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

31/12/2020 31/12/2019

საქმიანობის შედეგები

ამონაგები	8767060	46678175
საერთო მოგება	8767060	46678175
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	-74171	-477315
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	0	0
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-2500	-11625
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-1000250	-1157000
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	0	0
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-104937	-220991
იჯარის ხარჯი	-303419	-987304
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	0	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-223373	-167524
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-7557654	-43106658
საოპერაციო მოგება	-499244	549758

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

სხვა ფინანსური შემოსავალი	500	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
სხვა ფინანსური ხარჯი	0	0
მოგება / (ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-498744	549758
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	-498744	549758
მოგება / (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-498744	549758

შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით / გათვალისწინებით):

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-498744	549758

დირექტორი:

ფინანსისტი:



შპს „ლაქი გეიმის“ ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-485545	189814
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-485545	189814
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	720530	530716
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	234985	720530

დირექტორი:

ფინანსისტი:

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენი აუდიტის დასკვნას მასზე) ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებასთან დაკავშირებით, ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის მმართველობის ანგარიშგების წაკითხვა და ამით განსაზღვრა, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან, არის თუ არა არსებითი უზუსტობები მასში. ამასთანავე, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენი მოსაზრების გამოთქმა იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების ცალკეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში ისეთ ინფორმაციას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს მატერიალური, არსებითი უზუსტობა, ჩვენი მხრიდან ვაფიქსირებთ, რომ საქართველოს მთავრობა აპირებს სათანამშო ბიზნესის კანონმდებლობის გამკაცრებას, მოთამაშეების ასაკის შეზღუდვას, სოციალურად დაუცველებს არ ექნებათ თამაშის უფლება, რეკლამის საერთოდ აკრძალვა და სხვა შემზღუდავი რეგულაციები, რომელიც გასათვალისწინებელია კომპანიის მენეჯმენტისათვის, ასევე მენეჯმენტმა უნდა მოახდინოს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, რომ ახალმა გამკაცრებულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვნად არ დააზიანოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

შპს „აუდიტი - A“ -ს სახელით

(რეგისტრაციის № SARAS-F-911029)

ჯემალ ალანია



(რეგისტრაციის № SARAS-A-336078)

09 დეკემბერი 2021 წელი

თბილისი, საქართველო



შპს „ლაქიგეიმი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

2021





შინაარსი

სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	
2020 წლის ფინანსური ანგარიშგების	6
განმარტებითი შენიშვნები	





2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა

და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ლარებში

	2020 წ.	2019 წ.
საოპერაციო საქმიანობიდან ამონაგები	8767060	46846330
საოპერაციო ხარჯები	- 9265804	-46296572
სახელფასო ხარჯი	- 74671	- 477431
საგადასახადო ხარჯები	-1000250	-1157000
კომუნ. და საკომუნიკაციო ხარჯი	-104937	- 220991
ცვეთა და ამორტიზაცია	- 168925	- 167524
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	- 2500	-11625
იჯარის ხარჯი	-303419	-987304
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-7611102	- 43106542
საოპერაციო მოგება (ზარალი)	- 499744	549758
არა საოპერაციო მოგება	500	
სულ მოგება (ზარალი)	- 498744	549758
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	2822897	2273139
დივიდენდები	0	0
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	2324153	2822897

დირექტორი

ადმინისტრატორი





ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნები	2020	<u>2019</u>	<u>2018</u>
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები		234985	720530	530716
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		2879429	1420000	1062285
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		725970	720300	926071
სულ აქტივები		3791149	2860830	2284646
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		2324153	2822897	2273139
სულ საკუთარი კაპიტალი				



გრძელვადიანი ვალდებულებები

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება

1466996

37933

245933

საგადასახადი დავალიანებები

სულ მიმდინარე ვალდებულებები

1466996

37933

245933

სულ კაპიტალი და ვალდებულებები

3791149

2860830

2284646

დირექტორი:

ფინანსისტი:



Wondershare
PDFelement



2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი

ნაკადების ანგარიშგება

ლარებში

	შენიშვნები	2020წ.	2019 წ
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		-485565	189814
ფული და ფულის ეკვივალენტების სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		720550	530716
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		234985	720530

დირექტორი:

ფინანსისტი:



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლაქიგეიმი“ არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მისი ს.ნ. არის 204572934; იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვაგზლის მოედანი #2

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში. მისი ძირითადი საქმიანობაა საქონლის და მომსახურების მიწოდება; საწარმოს არც თბილისში და არც სხვაგან, საქართველოს ტერიტორიაზე, ფილიალები არ გააჩნია. საზოგადოების საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოთა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

კომპანია წარმოადგენს მე-3 კატეგორიის საწარმოს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ს შესაბამისად, მისი წარდგენა ხდება პირველად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

2.2 ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, იგი წარმოდგენილია საქართველოს ქვეყნის ფულად ერთეულში-ლარში. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წარმოდგენილია საბალანსო მუხლების ლიკვიდობის მიხედვით.

2.3 ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება როდესაც კლიენტს გაეწევა შესაბამისი მომსახურება, მისი შეფასება ხდება კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

2.4. საწარმო წინა წლებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს, 2018 წლის 1 იანვრიდან გადავიდა მსს ფსს-ის შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის ახალ სისტემაზე.

2.5. სააღრიცხვო სისტემა, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს მსს ფსს-ზე გადასვლის შემდეგ საწარმოს საქმიანობიდან გამომდინარე არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა წლებში; რის გამოც, ოპერაციების, მოვლენების დაგარემოებების შედეგად სათანადო მაკორექტირებელი ქმედებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

2.6. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი წლის ბოლოს 31 დეკემბერს არსებული კურსით;

3. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს საღაროში. ფულადი სახსრების ეკვივალენტები კომპანიას საანგარიშო პერიოდში არ ერიცხებოდა; ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. ამავე პერიოდში უცხოური ვალუტით არ უსარგებლია. დეპოზიტები, რომლებიც აღირიცხება, როგორც ფინანსური აქტივები, იმავდროულად ვალდებულებები (არ აღიარდება შემოსავლებად) საანგარიშგებო პერიოდში არ ერიცხებოდა.

3. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურ აქტივებზე და მოთხოვნებზე ჯარიმების და სანქციების დარიცხვას ადგილი არ ჰქონია; კომპანიას საექვო და ხანდაზმული აქტივები არ ერიცხება.

4. მატერიალური მარაგები

მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შეძენასთან, დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. მარაგებში აისახება ნედლეული და მასალები, გასაყიდად შეძენილი საქონელი, ასევე მცირეფასიანი აქტივები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების კრიტერიუმს.

იჯარა - ფინანსური იჯარა კომპანიას არ გააჩნია, კომპანია ჩვეულებრივი იჯარით აღებული ფართისათვის ყოველთვიურად იხდიდა 94446 ლარას, რომელსაც ყოველთვიურად ატერებდა ხარჯებში; 2020 წლის საანგარიშო პერიოდში, პანდემიის გავრცელების გამო, იჯარის ხარჯი,

ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, დროებით შემცირებული იქნა და შეადგინა 25284 ლარი. გაცემული სესხები, თამასუქები, მისაღები დივიდენდები და ანალოგიური აქტივები კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არ ერიცხებოდა.

ბ) ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი შეძენის (ისტორიული) ღირებულებით. ხოლო მათი შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების სასარგებლო მომსახურების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით.

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან როდესაც ხდება მისი ექსპლოატაციაში შესვლა.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება.

აქტივების გაუფასურება - თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივები გაუფასურებულია შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შეფასებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად.

ძირითადი საშუალების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი შეტანილია იმ წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

ძირითადი საშუალების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი შეტანილია იმ წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

5. გადასახადები

კომპანია თავისი საქმიანობიდან გამომდინარე სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის მხოლოდ დღგ-ს საშემოსავლო გადასახადს ქონების გადასახდს, მოგების გადასახადს იხდის ესტონეთის მოდელის შესაბამისად.

6. კაპიტალი

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას საწესდებო კაპიტალი (საწარმოს კაპიტალი) არ ერიცხებოდა.

5. გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგების თანხების გაანგარიშებაში მონაწილეობს გასულ წლებში მიღებულ მოგების გაუნაწილებელი თანხები, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის მოგების გაუნაწილებელი თანხა; კომპანიას საანგარიშგებო წლის დასაწყისში გაუნაწილებელი მოგება ერიცხებოდა 2822897 ლარი, საანგარიშგებო პერიოდში მიღებულმა ზარალმა შეადგინა 498744 ლარი, დივიდენდი გაცემულია 50000 ლარი და წლის ბოლოს გაუნაწილებელი მოგების ნაშთმა შეადგინა 2274153 ლარი.

6. ვალდებულებები

კომპანიის ვალდებულებებმა, წლის ბოლოს შეადგინა 1516231 ლარი.

7. ფუნქციონირებდი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია უახლოეს ერთი წლის განმავლობაში მაინც არ შეწყვეტს ფუნქციონირებას, ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ იგი უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს (2014 წლიდან) და იმყოფება მყარ ფინანსურ მდგომარეობაში, აქვს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყავს კომპენტეტური ხელმძღვანელობა და გამოცდილი თანამშრომლები, იმედია, რომ არც მომავალ წლებში შეწყვეტს საქმიანობას.

8. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში სამეურნეო-საფინანსო საქმიანობიდან მიღებულმა ზარალმა, შეადგინა 498744 ლარი და წლის დასაწყისში არსებული გაუნაწილებელი მოგების ნაშთის გათვალისწინებით წლის ბოლოს გაუნაწილებელი მოგების ნაშთმა შეადგინა 2274153 ლარი. საწარმო 2017 წლიდან ბიუჯეტში მოგების გადასახადს იხდის ესტონეთის მოდელის შესაბამისად.

საწარმო წინა წლებში ყოველთვის უზრუნველყოფდა სამეურნეო საქმიანობიდან მოგების მიღებას, რის გამოც სისტემატურად იმყოფებოდა მყარ ფინანსურ მდგომარეობაში, პლანეტაზე გავრცელებულმა პანდემიამ სერიოზული ზეგავლენა მოახდინა მის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე, რაც აისახა 2020 წლის შედეგებზე (მიღებულია ზარალი 498744 ლარი), ასეთივე და შეიძლება უარესი შედეგით შეიძლება დამთავრდეს 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდი, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არ გატარდა ქმედითი ღონისძიებები საწარმოს საქმიანობის განახლების უზრუნველსაყოფად, იგი აღმოჩნდება საქმიანობის იძულებით შეწყვეტის წინაშე.

9. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

კომპანიას წლის დასაწყისში ერიცხებოდა ფულადი სახსრები 720530 ლარი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 234985 ლარი, ანუ საანგარიშგებო პერიოდში, წმინდა ფულადი სახსრების კლებამ საოპერაციო საქმიანობიდან შეადგინა 485545 ლარი.

კომპანიას წლის დასაწყისში ერიცხებოდა გაუნაწილებელი მოგება 2822897 ლარი, საანგარიშგებო პერიოდში მიიღო ზარალი 498744 ლარი, ამავე პერიოდში გაიცა დივიდენდი 50000 ლარი და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა ლარი 2274153 ლარი

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა კომპანიის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2021 წლის 20 ივნისს.

შენიშვნა 1 - ძირითადი საშუალებები

31.12.2020 წ.

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2019 წელი	720300
1	სათამაშო აპარატები	510970
2	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	193106
3	სხვა	16224
	ბალანსი 31 დეკემბერი 2020 წელი	725970
1	სათამაშო აპარატები	557050
2	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	90000
3	სხვა	78920

შენიშვნა 2 - სასაქონლო - მატერიალური მარაგები

31.12.2020 წ.

N		
1	სასაქონლო - მატერიალური მარაგები	0

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

31.12. 2020 წ.

1	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	0

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ეკვივალენტები

31.12.2020 წ.

1	ნარდი ფული სალაროში	234970
2	ფული საბანკო ანგარიშზე	15

შენიშვნა 5 - კრედიტორული დავალიანება პარტნიორების მიმართ

31.12.2020 წ.



1	კრედიტ. დავალიანება პარტნიორების მიმართ	0

შენიშვნა 6 - კაპიტალი

31.12.2020წ.

1	საკუთარი კაპიტალი	2324153

დირექტორი:

ფინანსისტი:





შპს „ლაქი გეიმი“
მმართველობის ანგარიშგება

2020



Wondershare
PDFelement

მართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი და სტანდარტები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია კომპანიის განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „ლაქი გეიმის“ მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გაგხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გაგზარდოთ არსებული ბიზნესი.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ შპს „ლაქი გეიმს“ გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

კომპანიის შესახებ

შპს „ლაქი გეიმს“ სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2009 წლის 17 სექტემბერს. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან ფიზიკური პირები:

- 1) ხვიჩა სეჟანია (საქართველოს და რუსეთის მოქალაქე) პ№ 62005016165 - წილი - 80%
- 2) ელისო გვიჩია (საქართველოს და რუსეთის მოქალაქე) პ№ 62004016541 - წილი - 5%
- 3) თამაზ ადამია (რუსეთის მოქალაქე) პ№ 62004007943 - წილი - 15%

კომპანიის დირექტორია ლევანი ლაგვილავა, პ№ 01012010070

რას ვსაქმინობთ

შპს „ლაქი გეიმის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სათამაშო ბიზნესი, სათამაშო აპარატები განთავსებულია ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი 2.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, სტრუქტურის თავში გვევლინება დირექტორი ლევან ლაგვილავა

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

ლევან ლაგვილავა შპს „ლაქი გეიმის“ დირექტორად დაინიშნა 2018 წლის 31 იანვარს

სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობები. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

კომპანიის პოლიტიკები

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა.

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;

ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის

პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;

დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების

ინტერესები, კონფლიქტის აღმომგზაველი შესაბამისი ზომების შემუშავებით;

უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები;

- საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამობა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

შპს „ლაქი გეიმი“ დასაქმებულია დაახლოებით 32-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „ლაქი გეიმი“ მიმართ არ აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს „ლაქი გეიმი“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. ამ სფეროს დასარეგულირებლად შპს „ლაქი გეიმი“ იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირი

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი.

დირექტორი.

ლევან ლაგვილავა

